საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №429

თბილისი „14“ 05 2018 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (დამსაქმებლისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიული კოლეჯის „სპექტრი“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად საზოგადოებრივ კოლეჯად „სპექტრი“ რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის N75/ნ ბრძანების მე-3 მუხლით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2018 წლის 08 მაისის N552262 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (დამსაქმებლისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 14 მაისიდან 2018 წლის 25 მაისის ჩათვლით;

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ჩხენკელი